საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომის

ოქმი № 1

ქ. ზუგდიდი

21 მაისი 2021 წ.

ახალი კორონავირუსით (SARS-Cov-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) პანდემიის გამო ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, COVID-19-ის შესაკავებლად გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოში მოქმედი რეგულაციებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, საბჭომ მოქმედი კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება შესაძლებელია განახორციელოს დისტანციურად ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით.

დისტანციური მუშაობის ფარგლებში, სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომა გაიმართა ელექტრონული პლატფორმის jitsi meet გამოყენებით. საბჭოს სხდომას სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს 28 წევრიდან (შემდგომში - საბჭოს წევრი) ესწრებოდა 25 საბჭოს წევრი. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **მალხაზ თორია** - სახელმწიფო რწმუნებული.
2. **ლევან მაკალათია** -აბაშის მუნიციპალიტეტის მერი.
3. **მამუკა კვიტაშვილი** - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
4. **გელა ხოშტაია** - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
5. **კონსტანტინე კაკავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი.
6. **მამუკა წოწერია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
7. **თაზო ფაცაცია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
8. **ალექსანდრე ხურცილავა** - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი.
9. **ალექსი გაბისონია** - მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
10. **მაიზერ ჯაფარიძე** - მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
11. **ზაურ ჩართოლანი** - მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
12. **ლევან კუპრეიშვილი** - სენაკის მუნიციპალიტეტის მერი.
13. **კახაბერ რუსია** - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
14. **ბადრი კალანდარიშვილი** - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
15. **დათო გოგუა** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი.
16. **კობა ჯიქია** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

17. **ჯანო პერტაია** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
18. **ბესიკ ფარცვანია** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი.
19. **დარეჯან დადიანი** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.
20. **გოჩა ქაჯაია** - ხობის მუნიციპალიტეტის მერი.
21. **ედიშერ ჯობავა** - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
22. **მამუკა ქარდავა** - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
23. **გოჩა კურდღელია** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი.
24. **ბექა ვაჭარაძე** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
25. **აკაკი დარჯანია** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომის მუშაობას ესწრებოდნენ:

1. **მაკა ფიფია** - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში (სხდომის მდივანი).
2. **ნუგზარ გაბელია** - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი (თანამომხსენებელი).
3. **ნინო ვიბლიანი** - სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე.
4. **დავით ვერავა** - სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე.
5. **ნუკრი ხასია** - სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე.
6. **პაატა ლაგვილავა** - სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

საბჭოს სხდომას უძღვებოდა სახელმწიფო რწმუნებული მალხაზ თორია (შემდგომში - სხდომის თავმჯდომარე), რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი:

1. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანის განხილვა.

2. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს 2014 წლის 29 ოქტომბრის სხდომის ოქმი №1-ით (დანართები: №2; №3) დამტკიცებული ,,რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფისა და დარგობრივი ქვე-ჯგუფის შემადგენლობაში" ცვლილების შეტანა.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქმულა, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის ინფორმაცია, რომელმაც განმარტა, რომ რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ მომზადებულ იქნა 2014-2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში ცვლილების შეტანის მიზნით კორექტირებული 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმის (2021 წლის) პროექტი, რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელება ძირითადად გამოწვეულია მუნიციპალიტეტების მუშაობის პროცესში გამოვლენილი ახალი პრიორიტეტული მიმართულებებით, რამაც გამოიწვია 2014-2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების დამტკიცებულ სტრატეგიაში (სამოქმედო გეგმა 2019-2021 წლებისთვის) დამატებით ახალი პროექტების ასახვა და არსებული პროექტების კორექტირება.

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის და ხობის მუნიციპალიტეტების საჭიროებებიდან გამომდინარე სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს წარუდგინა დარგობრივი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განახლებული სამოქმედო გეგმის პროექტის ერთიანი ცხრილი (დანართი № 1).

სხდომის თავმჯდომარემ გააკეთა განმარტება, ,,რეგიონული განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავების სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აგვისტოს №1750 განკარგულების შესაბამისად, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების თანამშრომლების შემადგენლობით შექმნილია დარგობრივი სამუშაო ჯგუფები, რომლებსაც უშუალოდ ევალებათ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოში შესაბამისი პროექტების წარმოდგენა, შემდეგი თემატური მიმართულებებით: 1. ინფრასტუქტურა და ტურიზმი, 2. ბიზნესის განვითარება და სოფლის მეურნეობა, 3. ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა, 4. განთლება და კულტურა, 5. გარემოს დაცვა.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს 2014 წლის 29 ოქტომბრის სხდომის ოქმი №1-ით (დანართები: №2; №3) დამტკიცებულია ,,რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფისა და დარგობრივი ქვე-ჯგუფის შემადგენლობა" სადაც მიზანშეწონილია შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (დანართები: №2; №3).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს განიხილონ წარმოდგენილი პროექტი/წინადადებები და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები.

საბჭოს წევრების მიერ განხილულ იქნა პროექტი/წინადადება და შენიშვნები არ გამოთქმულა.

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა (თან ერთვის ელ.ვერსია CD დისკი სახით) და განსახილველად წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას.
2. დამტკიცდეს სამუშაო ჯგუფებისა და თემატური ქვეჯგუფების შემადგენლობა (დანართები: №2; №3).

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შედეგად სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე /მ. თორია/

სხდომის მდივანი /მ. ფიფია/